გორგია

მშენებლობა ▲ რემონტი

**შპს „გორგია“**

ქ. ბათუმი, შავშეთის ქუჩა N27, 6010

**BATUMI** : **Tel:** +995(222) 75689; **Fax:** +995(222) 75872

**TBILISI** : **Tel:** +995 (32) 356520; **Fax:**+995(32) 356521

**“GORGIA” LLC.**

**Shavsheti st. N27, Batumi, 6010, Georgia**

**E-mail:** info@gorgia.ge

**www.gorgia.ge**


---

შპს „გორგია“ (ს/კ 245621288) (შემდგომ „მარწმუნებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ხვიჩა პაპუნიძის სახით, თამარ ჯავახიშვილის (პ/ნ 1011096225) მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება: წარმომადგენელი უფლებამოსილია დადოს/ხელი მოაწეროს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (მასში შემავალ ცვლილება/დამატებებს, განსაზღვროს მისი შინაარსი), რომლის ჯამური ღირებულება არ აღემატება 5000 (ხუთი ათასი) ლარს. წარმომადგენელი უფლებამოსილია აღნიშნული მიზნის განხორციელებისათვის გამოიყენოს ელექტრონული ხელმოწერა, აგრეთვე წარმომადგენელი უფლებამოსილია განახორციელოს სხვადასხვა სახის მოქმედებები, რომელიც საჭიროა აღნიშნული მიზნის შესრულებისათვის. წარმომადგენელი ვალდებულია ამ მინდობილობით მინდობილი მოქმედებები შეასრულოს პირადად.

მინდობილობა გაცემულია 1 წლის ვადით, მისი მესამე პირებზე გადანდობის გარეშე.

დირექტორი

ხვიჩა პაპუნიძე

01.06.2022

| | |
|---|---|
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი | N220648827 |
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი | 01.06.2022 წ |
| სანოტარო მოქმედების დასახელება | **გარიგებაზე ხელმოწერის დამოწმება** |
| ნოტარიუსი | **ხათუნა კალანდარიშვილი** |
| სანოტარო ბიუროს მისამართი | **ქ.ბათუმი, ნოე ჟორდანიას ქუჩა #12** |
| სანოტარო ბიუროს ტელეფონი | **27-73-43** |
| სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი | **89452379669122** |

საქართველო

ორიათას ოცდაორი წლის პირველ ივნისს , მე, ნოტარიუსი ხათუნა კალანდარიშვილი, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს ქ. ბათუმში, ნოე ჟორდანიას ქ#12-ში, ვამოწმებ ჩემს სანოტარო ბიუროში გამოცხადებული საქართველოს მოქალაქის, სრულწლოვანი და ქმედუნარიანი ხელმომწერი პირის: ხვიჩა პაპუნიძის (დაბ. 31.03.1971წ. პ#61006011559 ,მცხ. ბათუმი ვახტანგ გორგასალის ქ. N 149/29 ბ. 1 ) ხელმოწერის ნამდვილობას მის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტზე (მინდობილობა) რომელზედაც ხელმოწერა შესრულებულია ხელმომწერ პირის მიერ პირადად, ჩემი თანდასწრებით. ხელმომწერი პირის პირადობა დადგენილია წარმოდგენილი დამადასტურებელი დოკუმენტით, ხოლო ქმედუნარიანობა შემოწმებულია, რომელშიც ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. მე, ნოტარიუსი, ამ დოკუმენტის დამოწმებისას ვადასტურებ რომ, ხელმოწერა მასზე უშუალოდ ხელმომწერ პირს ეკუთვნის და არ ვადასტურებ დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად, პასუხს არ ვაგებ მათზე.
დამოწმებულია 3 ხელწერა 3 ეგზემპლარად და შესაბამისად გადახდილია საზღაური 6.00 ლარი. თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებისა, "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" ( 29 დეკემბერი, 2011 წელი, დადგენილება #507) 31 მუხლის და, აგრეთვე დღგ თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა 1.08 ლარი. ასევე რეგისტრაციის საფასური 2.00 ლარი, თანახმად ამავე დადგენილების 39–ე მუხლისა.

ნოტარიუსი ------------------------------------------------------------------------ ხ. კალანდარიშვილი.

---

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: **www.notary.ge** ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: **+995(32) 2 66 19 18**

Tamar
Javakhishvili
01011096225

Digitally signed by Tamar Javakhishvili
Date: 2023.01.09 13:32:23